ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
არქიტექტორის სამსახურის უფროსს: _____
ქალაქ თბილისის სოხუმის ქუჩა 4-6ა „ბ“ ბლოკის მობინადრეთა

განცხადება

ჩვენ მიერ შემოტანილ განცხადებაზე, რომელიც დაიწერა 2020 წლის 29 ოქტომბერს და თქვენთან რეგისტრირებულია ნომრით 19/012030320-01. 04.11.2020 პასუხი მივიღეთ წერილით, რომლის ნომერია 60-01203093267. სადაც თქვენი სამსახურის მიერ მოთხოვნილი იყო დამატებითი დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა, ჩვენი კორპუსის დაზიანებასთან დაკავშირებით. ჩვენ ამ მოთხოვნის შესაბამისად მივმართეთ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და დავუკვეთეთ შენობის ექსპერტიზა 2020 წლის 12 ნოემბერს. რეგისტრაციის ნომრით 1007498220 და ამავდროულად გთხოვეთ ვადის გაგრძელება პასუხის მიღებამდე. განცხადების ნომერია 19/0120330893-60. მივიღეთ ექსპერტიზის პასუხი 22.12.2020 დათარიღებული, რომლის ნომერია 007662720. აღნიშნული პასუხის ასლს თან დავურთავთ ამ განცხადებას.
გთხოვთ, განიხილოთ ეს პასუხი ჩვენს შემოტანილ განცხადებებთან ერთად, რომელთა ნომრები მითითებულია 2020 წლის 29 ოქტომბრის განცხადებაში.
ასევე გვხურს, გამოვყოთ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს პასუხის მეოთხე პუნქტში აღნიშნული ფაქტი, რომ 2017 წელსაც აღენიშნებოდა ჩვენს კორპუსს დაზიანებები. გვსურს ავღნიშნოთ, რომ ეს დაზიანებები ზუსტად 2016 წელს მიმდებარე მიწის ნაკვეთზე ქვაბულის გათხრის დროს მიიღო ჩვენმა კორპუსმა, რაც აგრეთვე უნდა ფიქსირდებოდეს მერიის ზედამხედველობის სამსახურის იმავე წლის არქივში, რადგან მაშინ სწორედ მათ მოახდინეს რეაგირება ამ ფაქტზე და შეაჩერეს ქვაბულის გათხრები. ასევე გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია აქვთ თუ არა ჩვენს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის მფლობელებს წარმოდგენილი ყველა დოკუმენტაცია, ჩვენი კორპუსის მდგრადობისა და უსაფრთხოების შესახებ, რომელსაც მათ ჩვენი კანონმდებლობა ავალდებულებს. ასევე რა რიცხვით თარიღდება ეს საბუთები, ჩვენი კორპუსის დაზიანებამდე თუ დაზიანების შემდეგ არის ის წარდგენილი და თუ არის შესაძლებელი დაურთეთ მათი ნებართვების ნომრები ჩვენს პასუხს.
იმედი გვაქვს თქვენი გულისხმიერებისა და დროული დახმარების.

ქალაქ თბილისის სოხუმის ქუჩა 4-6ა კორპუსის მაცხოვრებლები.

ს ს ი პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ექსპერტიზის დასკვნა



ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5007538320
22/12/2020 წ.

5007538320

მოქალაქე გვანცა ვაჭბედაშვილს

(ქ. თბილისი, სოხუმის 4/6)

ქალბატონო გვანცა,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2020 წლის 12 ნოემბრის რეგისტრაციის N1007498220) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N007662720 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 15 ფურცლად;

პატივისცემით,

მერაბ გამყრელიძე
ბიუროს უფროსის მოადგილე

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ. N102

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi

5007538320

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 23. 12. 2020წ. _____ (ხელმოწერა) გ.ა



007662720

ექსპერტის დასკვნა № 007662720

გაფრთხილება

დეპარტამენტების უფროსების მიერ განგვემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებულები ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

მისამართი: ქ. თბილისი, სოხუმის 4/6

სახელი და გვარი: გვანცა ვაჟბედაშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

ავთანდილ რომელაშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 32 წლის სტაჟით.

ვახტანგ ლომიძე / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს საინჟინრო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 12 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

1. გადახრილია თუ არა არსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 01.13.06.015.012) კონკრეტულად სოხუმის ქ. #4-6ა საცხოვრებელი კორპუსის 2 სადარბაზო ("B" ბლოკი), რომელშიც მდებარეობს ჩვენს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინები მომიჯნავედ არსებული ნაკვეთისაკენ (ს/კ 01.13.06.015.014)?

2. რამდენი გრადუსით არის გადახრილი არსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 01.13.06.015.012) კონკრეტულად სოხუმის ქ. #4-6ა სახოვრებელი კორპუსის 2 სადარბაზო ("B" ბლოკი), რომელშიც მდებარეობს ჩვენს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინები?

3. საჭიროებს თუ არა აღდგენა-გამაგრებას და გადახრას გამოწვეული აქვს თუა რა დამატებითი ზიანი არსებული შენობა-ნაგებობის, კონკრეტულად სოხუმის ქ. #4-6ა სახოვრებელი კორპუსის 2 სადარბაზო ("B" ბლოკი), რომელშიც მდებარეობს ჩვენს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინები?

4. არსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 01.13.06.015.012) კონკრეტულად სოხუმის ქ. #4-6ა სახოვრებელი კორპუსის 2 სადარბაზო ("B" ბლოკი), რომელშიც მდებარეობს ჩვენს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინები გადახრა გამოწვეულია თუ არა მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.13.06.015.014) ქვაბულის მშენებლობის შედეგად, რომელიც მიტოვებული იყო დიდი ხნის განმავლობაში?

5. გამოიწვევს თუ არა მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.13.06.015.014) ქვაბულის მშენებლობის გაგრძელება არსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 01.13.06.015.012) კონკრეტულად სოხუმის ქ. #4-6ა სახოვრებელი კორპუსის 2 სადარბაზო ("B" ბლოკი), რომელშიც მდებარეობს ჩვენს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინები დაზიანებას, გადახრის პროცესის გაგრძელებას და რამდენად საშიში იქნება ეს ყველაფერი მაცხოვრებლებისათვის?

შემოსვლის თარიღი: 12/11/2020 წ

გასვლის თარიღი: 22/12/2020 წ

დასკვნა

ქ. თბილისი, სოხუმის ქ. #4-6ა-ში (ს/კ 01.13.06.015.012), მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის „ბ" ბლოკის ტექნიკური მდგომარეობა მიუხედავად მცირე დაზიანებებისა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. დეფორმაციათა მიღებული

კლასიფიკაციის მიხედვით შენობაზე არსებული დაზიანებები ძირითადად პირველი (უმნიშვნელოდან მსუბუქამდე დაზიანება) ხარისხისაა და საფრთხის შემცველი არ არის, თუმცა 2017 წელს ჩატარებული კვლევებით დადგენილია, რომ "გაანგარიშებით მდგრადობასთან მიმართებაში შენობას გააჩნია გარკვეული ხარვეზები, მაგრამ ვინაიდან შენობაზე ჩატარებულია გაძლიერებითი სამუშაოები, რაც გაანგარიშებაში არ არის გათვალისწინებული, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია შენობაზე შემდგომი ექსპლუატაციისათვის დაწესდეს მონიტორინგი", ამ მიზნით ბზარწარმოქმნის ადგილებზე, მითუმეტეს როდესაც მომიჯნავე ნაკვეთში დაგეგმილია მრავალსართულიანი შენობის მშენებლობა, გაიკრას თაბაშირის ყალაურები. ასევე მომიჯნავე ნაკვეთში მშენებელობის სპეციალისტების მხრიდან განხორციელდეს საინჟინრო გეოდეზიური დაკვირვება.

1-2. ქ. თბილისში, სოხუმის ქ. #4-6ა-ში მდებარე შენობის (ს/კ 01.13.06.015.012) „ბ“ ბლოკის ფასადის კედელი გადახრილია მომიჯნავედ (ს/კ 01.13.06.015.014) არსებული ნაკვეთისაკენ. 54-59 სმ-ით.

3. ქ. თბილისი, სოხუმის ქ. #4-6-ში მდებარე, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის „ბ“ ბლოკის ტექნიკური მდგომარეობა მიუხედავად მცირე დაზიანებებისა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. დაზიანებები გამოწვეულია საძირკვლებში განვითარებული ჯდენითი დეფორმაციებით. დაზიანებათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით შენობაზე არსებული დეფორმაციები ძირითადად I (უმნიშვნელო-მსუბუქი დაზიანება) ხარისხისაა და საფრთხის შემცველი არ არის. ასეთ ხარისხში დაზიანებული შენობები ექსპლუატაციისათვის ვარგისია, თუმცა საჭიროა დაკვირვება (იხ კვლევითი ნაწილი).

4. ქ. თბილისში, სოხუმის ქ. #4-6ა-ში მდებარე შენობის (ს/კ 01.13.06.015.012) „ბ“ ბლოკის გადახრა მომიჯნავე ნაკვეთის (ს/კ 01.13.06.015.014) მხარეს ამ ეტაპზე არ უკავშირდება მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთზე ქვაბულის ამოღებას ვინაიდან 2017 წელს ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის თანამად "გაანგარიშებით მდგრადობასთან მიმართებაში შენობას გააჩნდა გარკვეული ხარვეზები", რასაც შეეძლო საძირკვლებში არათანაბარი ჯდენითი დეფორმაციები გამოეწვია, ასევე გადახრა ნაწილობრივ შესაძლებელია გამოწვეული იყოს მშენებლობის დაბალი ხარისხით. ვინაიდან შენობაზე ჩატარებულია გაძლიერებითი სამუშაოები, რაც გაანგარიშებაში არ არის გათვალისწინებული, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია შენობაზე შემდგომი ექსპლუატაციისათვის დაწესდეს მონიტორინგი. 2017 წლიდან გასულ პერიოდში ვიზუალურად დეფორმაციების პროგრესირება არ ფიქსირდება.

5. ქ. თბილისში, სოხუმის ქ. #4-6ა-ში მდებარე შენობის (ს/კ 01.13.06.015.012) „ბ“ ბლოკზე მომიჯნავე ნაკვეთში (ს/კ 01.13.06.015.014) დაგეგმილი მშენებლობიდან უარყოფითი ზეგავლენა მოსალოდნელია თუ კი დამპროექტებელთა და მშენებელთა მხრიდან არ იქნება გათვალისწინებული და შესრულებული საინჟინრო პრაქტიკაში ცნობილი უარყოფითი ზეგავლენისაგან დამცავი ღონისძიებები (იხ. კვლევითი ნაწილი). მათი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს დეფორმაციების პროგრესირებას და დაზიანების ხარისხის გაზრდას.

ავთანდილ რომელაშვილი

გამოკვლევა

2020 წლის 20 ნოემბერს ვიზუალურად შესწავლილი იქნა, ქ. თბილისში, სოხუმის ქ. #4-6ა-ში (ს/კ 01.13.06.015.012) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის „ბ” ბლოკის ტექნიკური მდგომარეობა.

ქ. თბილისი, სოხუმის ქ. #4-6ა-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი სარდაფით აშენებულია 2007-2013 წლებში. გეგმაში რთული გეომეტრიული ფორმისაა და გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიანი კონსტრუქციის ვარიანტში. საცხოვრებელი კორპუსი შესდგება სამი ბლოკისაგან („ა“, „ბ“ და „გ“ ბლოკები) რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია სეისმური ნაკერით. „ა“ და „ბ“ ბლოკები დაფუძნებულია მონოლითური რკინაბეტონის ფილაზე, ხოლო „გ“ ბლოკის საძირკველი ხიმინჯოვანი ფილითაა მოწყობილი. სვეტების განივი კვეთი 120x40 და 40x40 სმ-ის დიაპაზონში იცვლება. რიგელების განივი კვეთი 40x50 სმ-ია. სვეტების ბიჯი გრძივი მიმართულებით 6,0 მ-იდან 3,2 მ-ის ფარგლებში იცვლება, ხოლო განივი მიმართულებით 6,0 მ-იდან 4,5 მ-ის დიაპაზონში. სართულშუა გადახურვა მონოლითური რკინაბეტონის ფილითაა მოწყობილი. კედლის შევსება ამოყვანილია ბეტონის წვრილი ბლოკით ქვიშა-ცემენტის ხსნარზე. სართულის სიმაღლე 3,30-3,20 მ-ია, ხოლო სარდაფის სართულის სიმაღლე 3,0 მ-ს შეადგენს. დამკვეთის მითითებით ვიზუალურად შესწავლილი იქნა „ბ“ ბლოკის (ფოტო 1, 2) ტექნიკური მდგომარეობა. აღნიშნული ბლოკის სარდაფის სართულზე ჩატარებულია გაძლიერებითი სამუშაოები, სვეტები და რიგელები ჩასმულია ლითონის კუთხოვანების გარსაკრში. 2017 წელს ექსპერტიზის ბიუროს ვიზუალურად შესწავლილი აქვს აღნიშნული შენობის „ა“ და „ბ“ ბლოკების ტექნიკური მდგომარეობა, ჩატარებული აქვს პროექტის ექსპერტიზა და გაცემულია შესაბამისი დასკვნები.

დღევანდელი მდგომარეობით, სარდაფში ცალკეული სვეტების დაბეტონება უხარისხოდაა შესრულებული და ჩანს კოროზირებული არმატურა (ფოტო 3), აუცილებელია აღნიშნულ მონაკვეთებში არმატურა გაიწმინდოს ზედაპირული ჟანგისაგან და დაიფაროს მაღალი სიმტკიცის ქვიშა ცემენტის ხსნარით, ხოლო მონოლითური რკინაბეტონის კედლებზე შეინიშნება დახრილი ბზარები გახსნილობით დაახლოებით 1-2 მმ (ფოტო 4, 5). „ბ“ ბლოკის ფასადებზე დაზიანებები ბზარების სახით არ შეინიშნება. აღნიშნული ბლოკის შიგა სივრცეში ცალკეულ ბინებში დასრულებულია, ხოლო ცალკეულ ბინებში ამჟამად მიმდინარეობს სარემონტო მოპირკეთებითი სამუშაოები. გარემონტებულ ბინებში დაზიანებები არ ფიქსირდება თუმცა ზოგიერთ ბინაში კედლის შევსებაში შეინიშნება ბეწვისებური ზედაპირული ბზარები (ფოტო 6) „ბ“ ბლოკის კიბის უჯრედის დერეფანში, კედლის შევსებაში განვითარებულია ბეწვისებურიდან 2 მმ-მდე გახსნილობის სხვადასხვა მიმართულების დახრილი ბზარები, ანალოგიური ბზარებია განვითარებული კარის ღიობებთანაც (ფოტო 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14). აღნიშნული ბზარების დახრილობა მიმართულია, როგორც სოხუმის ქუჩის, ისე წერეთლის გამზირის მხარეს. „ბ“ ბლოკზე მომიჯნავე ნაკვეთის მხრიდან (წერეთლის გამზირის მხრიდან) მეორე სართულის დონემდე მობჯენილია მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქცია. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით (2017 წელს ჩატარებული კვლევა) „ბ“ ბლოკზე მცირე ჯდენით დეფორმაციებს ჰქონდა ადგილი და აღნიშნული კონსტრუქცია მოწყობილია გაძლიერების მიზნით.

დამკვეთის ინფორმაციით, მომიჯნავე ნაკვეთში (ს/კ 01.13.06.015.014) დაგეგმილია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. იქონიებს თუ არა უარყოფით ზეგავლენას მომიჯნავე ნაკვეთში დაგეგმილი მშენებლობა სოხუმის ქ. #4-6ა-ში მდებარე შენობის „ბ“ ბლოკზე, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება სამშენებლო მოედანს, ამ კითხვაზე ცალსახად პასუხის გაცემა საპროექტო დოკუმენტაციის (პროექტის გეოლოგიური და კონსტრუქციული ნაწილები) წარმოდგენის გარეშე შეუძლებელია, მაგრამ საინჟინრო პრაქტიკაში ცნობილი ანალოგიური სიტუაციებიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თეორიულად ახალი მშენებლობის ზეგავლენა არსებულ შენობაზე მოსალოდნელია თუ დაფუძნება ხდება კუმშვად გრუნტზე, ასეთ შემთხვევაში დამპროექტებელთა მხრიდან აუცილებლად განხილული უნდა იყოს საპროექტო შენობის უარყოფითი ზეგავლენის შესაძლებლობა საკვლევ შენობაზე და გეოლოგიური მონაცემების, საძირკვლების ტიპისა და დაფუძნების პირობების გათვალისწინებით და გაანგარიშებით დადასტურების შემთხვევაში მოწყობილი უნდა იყოს გამყოფი შპუნტური კედელი, რომელიც ამავე დროს დაიცავს ქვაბულის ფერდს ჩამოშლისაგან. ძირითად ქანებზე დაფუძნების შემთხვევაში ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის, თუმცა თუ ქვაბულის ძირის ნიშნული ჩასცდება „ბ“ ბლოკის საძირკვლის ძირის ნიშნულს ამ შემთხვევაშიც ქვაბულის ფერდი უნდა იყოს გაძლიერებული. გარდა ამისა მშენებლობის პროცესში სპეცტექნიკის (მაგალითად ვიბრო სატკეპნი ან საბურღი ტექნიკა) გამოყენების შემთხვევაში წარმოიქმნება ვიბრაციული დატვირთვები, რაც ასევე უარყოფითად შეიძლება აისახოს „ბ“ ბლოკის ტექნიკურ მდგომარეობაზე, ვინაიდან ის დაფუძნებულია თიხოვან გრუნტებზე. გამართლებულად მიგვაჩნია საკვლევ შენობაზე ქვაბულის ამოღებისა და შპუნტური კედლის მოწყობის შემთხვევაში დაკვირვება განხორციელდეს სეისმოგრაფების მეშვეობით, რომელიც დამონტაჟდება უშუალოდ საკვლევ შენობასთან და რომლის მონაცემების მიხედვითაც განისაზღვრება სამშენებლო მოედანზე სპეცტექნიკის მუშაობის არეალი. მძიმე ტექნიკის გადაადგილებითა და მუშაობით გამოწვეული ვიბრაციული დატვირთვები არ უნდა აღემატებოდეს 2-3 ბალიანი მიწისძვრის ეფექტს. ასევე დაკვირვების მიზნით ბზარწარმოქმნის ადგილებზე გაიკრას თაბაშირის ყალაურები. „ბ“ ბლოკის მხარეს ამოღებულია დაახლოებით 2,5 მ-მდე სიღრმის ქვაბული (ფოტო 15). ამჟამად სამუშაოები შეჩერებულია.

გეოდეზიური ხელსაწყოს მეშვეობით (ელექტრონული ტაქეომეტრი Leca TS15) ჩატარებული აზომვით დადგინდა, რომ საკვლევი ფასადი გადახრილია წერეთლის გამზირის მხარეს. ჩრდილოეთ კუთხეში გადახრილობა შეადგენს 54 სმ-ს, ხოლო სამხრეთ კუთხეში 59 სმ-ს. ასეთი გადახრის შემთხვევაში, რომელიც აღემატება ნორმით დასაშვებ H/500 გადახრას (შენობის სიმაღლე დაახლოებით 5300 სმ:500=10,6 სმ) შენობას უნდა გააჩნდეს მნიშვნელოვანი დაზიანებები, რაც საკვლევ ბლოკს არ გააჩნია ვინაიდან დაფიქსირებული დაზიანებები ძირითადად I ხარისხისაა. გარემონტებულ ბინებში იატაკების დახრილობა არ ფიქსირდება, ხოლო კიბის უჯრედის დერეფანში იატაკის უმნიშვნელო დახრილობა ფიქსირდება, როგორც მომიჯნავე ნაკვეთის მხარეს, ასევე სოხუმის ქუჩის მხარეს. 2017 წელს ჩატარებული პირველი კვლევიდან გასულ პერიოდში ვიზუალურად ბზარების გახსნილობისა და გეომეტრიული მოხაზულობის ცვლილება არ შეინიშნება, ასევე კიბის უჯრედის დერეფანში ცალკეული ბზარების მონაკვეთები გადაფარულია ფითხით (ფოტო 16, 17, 18, 19) და ბზარების გახსნილობის მომატება არ ფიქსირდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დეფორმაციები არ პროგრესირებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფოტოფიქსაციის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს განათებას, მანძილს, გადაღების კუთხეს და ა.შ. ამიტომ შესაძლებელია, დეფორმაციების ცვლილებები ვერ იქნას დაფიქსირებული. გარდა ამისა 2017 წელს ჩატარებული კვლევებით (ვიზუალური კვლევა და პროექტის ექსპერტიზა) დადგენილია, რომ „გაანგარიშებით მდგრადობასთან მიმართებაში შენობას გააჩნდა გარკვეული ხარვეზები“. გაძლიერებითი სამუშაოების ჩატარებამდე აღნიშნულ ხარვეზებს შეეძლო საძირკვლების არათანაბარი ჯდენით დეფორმაციები გამოეწვია მაგრამ ვინაიდან შენობაზე ჩატარებულია გაძლიერებითი სამუშაოები, რაც გაანგარიშებაში არ არის გათვალისწინებული, ამიტომ რეკომენდირებული იყო დაკვირვების მიზნით ბზარწარმოქმნის ადგილებზე თაბაშირის ყალაურები გაკვრა, რაც არ არის შესრულებული და რაც რჩება ძალაში, მით უმეტეს როდესაც მომიჯნავე ნაკვეთში დაგეგმილია მრავალსართულიანი სახლის მშენებლობა. ასევე რეკომენდირებული იყო, 3-4 თვის ვადაში საინჟინრო გეოდეზიური დაკვირვება. წარმოებდა თუ არა გეოდეზიური დაკვირვება ჩვენთვის უცნობია.

დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, სავარაუდოდ შენობის გადახრა ვერტიკალიდან მომიჯნავე ნაკვეთის მხარეს (წერეთლის გამზირის მხარეს) დაკავშირებულია მშენებლობის დაბალ ხარისხთან რაც ადამიანური ფაქტორითაა გამოწვეული და ასევე გაძლიერებითი სამუშაოების ჩატარებამდე საძირკვლებში განვითარებულ შესაძლო ჯდენით დეფორმაციებთან, რაც

007662720

ექსპერტის დასკვნა № 007662720

დასტურდება 2017 წელს ჩატარებული კვლევებით (პროექტის ექსპერტიზით)

ამრიგად, ქ. თბილისი, სოხუმის ქ. #4-6ა-ში (ს/კ 01.13.06.015.012) მდებარე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის „ბ“ ბლოკის ტექნიკური მდგომარეობა მიუხედავად მცირე დაზიანებებისა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით შენობაზე არსებული დაზიანებები პირველი (უმნიშვნელოდან მსუბუქამდე დაზიანება) ხარისხისაა და საფრთხის შემცველი არ არის, თუმცა 2017 წელს ჩატარებული კვლევებით დადგენილია, რომ "გაანგარიშებით მდგრადობასთან მიმართებაში შენობას გააჩნია გარკვეული ხარვეზები, მაგრამ ვინაიდან შენობაზე ჩატარებულია გაძლიერებითი სამუშაოები, რაც გაანგარიშებაში არ არის გათვალისწინებული, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია შენობაზე შემდგომი ექსპლუატაციისათვის დაწესდეს მონიტორინგი", ამ მიზნით ბზარწარმოქმნის ადგილებზე, მითუმეტეს როდესაც მომიჯნავე ნაკვეთში დაგეგმილია მრავალსართულიანი შენობის მშენებლობა, გაიკრას თაბაშირის ყალაურები. ასევე მომიჯნავე ნაკვეთში მშენებელობის სპეციალისტების მხრიდან განხორციელდეს საინჟინრო გეოდეზიური დაკვირვება.

ავთანდილ რომელაშვილი

საინჟინრო სამმართველოს კვლევის საგანს წარმოადგენდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის კედლის გადახრილობის დადგენა.

ჩემს მიერ განხორციელდა გეოდეზიური ხელსაწყოს მეშვეობით (ელექტრონული ტაქეომეტრი Leca TS15) საკვლევი კედლის (შენობა-ნაგებობის წერეთლის გამზირის მხარეს არსებული ფასადი) აზომვა პირველი სართულის გადახურვის ფილის დონიდან (არკის ძირი) ბოლო სართულის გადახურვის ფილამდე, სართულებრივ, ფასადის ორივე კუთხეში. აზომვების შედეგად მიღებული მონაცემებით დადგინდა, რომ საკვლევი ფასადის გადახრილია წერეთლის გამზის მხარეს, ჩრდილოეთ კუთხეში გადახრილობა შეადგენს 54 სმ-ს, ხოლო სამხრეთ კუთხეში 59 სმ-ს.

ვახტანგ ლომიძე

გამოყენებული მასალები

1. СП-13-102-2003

2. სნწ 3ნ. 01.01-09 “სეისმომედეგი მშენებლობა“

3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

4. ექსპერტიზის ბიუროს მიერ 2017 წელს გაცემული დასკვნები.

007662720

ექსპერტის დასკვნა № 007662720

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: კახაბერ კახელი

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1




ფოტო 2




ფოტო 3




ფოტო 4



ფოტო 5




ფოტო 6




ფოტო 7



ფოტო 8




ფოტო 9




ფოტო 10




ფოტო 11



ფოტო 12



ფოტო 13



ფოტო 14




ფოტო 15



ფოტო 16



ფოტო 17



ფოტო 18



ფოტო 19